

მოწოდება და ლოცვა კავკასიაში მშვიდობისთვის

პაპი ფრანცისკე

ანჯელუსი

*წმინდა პეტრეს მოედანი
კვირა, 27 სექტემბერი, 2020 წ.*

„ძვირფასო ძმანო და დანო!

დაპირისპირების შემაშფოთებელი ცნობები მოდის კავკასიის რეგიონიდან. ვლოცულობ კავკასიაში მშვიდობისთვის და ვთხოვ დაპირისპირებულ მხარეებს გადადგან კეთილი ნებითა და ძმური სულისკვეთებით განმსჭვალული ნაბიჯები, რათა პრობლემები გადაიჭრას არა ძალისა და იარაღის გამოყენებით, არამედ დიალოგისა და მოლაპარაკების გზით. ვილოცოთ ერთად, სიჩუმეში, კავკასიაში მშვიდობისთვის.“